საპროექტო ობიექტის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

თბილისი, შოთა რუსთაველის ქ. №5



ხედი შოთა რუსთაველის პროსპექტიდან, 2010წ


შემსრულებელი:

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
იანვარი
2013

1. მდებარეობა

საპროექტო ობიექტი – **კინოთეატრი „რუსთაველი“.** მდებარეობს თბილისის ისტორიული ნაწილის უბან გარეთუბანში **შოთა რუსთაველის პროსპექტი №5 (ძველი თბილისის გამგეობა).** მთავარი ფასადით ეს ნაგებობა მიმართულია **შოთა რუსთაველის პროსპექტისკენ,** ხოლო გვერდითი ფასადით გადის **ფურცელაძის ქუჩისკენ.** პროექტით გათვალისწინებულია დაშენება ნეგებობის უკანა მხრიდან, კიბის უჯრედზე.



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (სარეკომენდაციო)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო

საპროექტო ნაგებობა არქიტექტურული ძეგლია

არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია ნაგებობები მის ირგვლივ და უკანა მხარეს


ეროვნული მუზეუმი – შოთა რუსთაველის პრ. №3;
ქაშუეთის ეკლესია – შოთა რუსთაველის პრ. №9/2;
საცხოვრებელი სახლები – ფურცელაძის ქ. №.6,6/18...,

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ




თბილისის აეროფოტო, 2000-იანი წწ (ფრაგმენტი)




უბანი საპროექტო ობიექტის ირგვლივ, ხედი მთაწმინდიდან, 2009წ

უბნის ისტორიულ-არქიტექტურული განვითარება

კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობა აიგო 1939წ. (არქიტექტორი **ნ. სევეროვი.)** კალოუბნის ეკლესიის ადგილას. XIX საუკუნემდე ეს მიდამოები თბილისის გალავნის გარეთ მდებარეობდა და ასევე იწოდებოდა – **„გარეთუბანი“**. თვით ამ მიკროუბანს კი, **კალოუბანი** ერქვა, რადგან აქვე იდგა **კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესია.** XIX ს-ის I ნახევარში მოანგრიეს გალავნის კედელი. დადიანის ქუჩის ზემოთ სოლოლაკი განვითარდა, ზემო კალას მიღმა კი პუშკინის ქუჩისკენ – **გარეთუბანი.**



თბილისის გეგმა 1800-იანი წწ.




თბილისის გეგმა 1809წ.

თბილისის 1800 წლის გეგმის მიხედვით იმ ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად **რუსთაველის პროსპექტი** მდებარეობს, განაშენიანება არ ჩანს, რაც ლეკიანობამ და 1795 წლის დარბევამ გამოიწვია. 1809 წლის თბილისის გეგმაზე უკვე იკითხება რეგულარული ქუჩების ქსელის ჩანასახი.

1833-35 წლებში ქალაქის მიწისმზომელ ტოვარნიცკის მიერ შემუშავდა გარეთუბნის განაშენიანების გეგმა, რომლის მიხედვითაც **გოლოვინის პროსპექტი** - ქალაქის ისტორიული გზა – ამ განაშენიანების მთავარ ღერძად იქცა. 1840-იანი წლებიდან დაიწყო განაშენიანების სწრაფი განვითარება მთელ გარეთუბანში




1831 წ




1844 წ

როგორც ვხედავთ 1831 წლის გეგმაზე, კალოუბნის ეკლესიის წინ გოლოვინის პროსპექტზე ჰაუპტვახტაა – №6. თვით ეკლესია კი აღნიშნული არ არის. 1844წლის გეგმაზე კალოუბნის ეკლესია – №32 აღნიშნულია ბარონის (ფურცელაძის) და გოლოვინის ქუჩების კუთხესთან, ოდნავ სიღრმეში (კალოუბნის ახალი ეკლესია რუსული კლასიცისტური სტილით ააშენეს ძველის ადგილას 1850 წ.). კალოუბნის ეკლესიის წინ „გოლოვინსკზე“ კვლავ ორდონანს-ჰაუსია – მთავარი ჰაუპტვახტა №47 (გვიანი კლასიციზმი, აგებულია 1820-იან წწ.).




გოლოვინის პროსპექტი, 1860-იანი წლების დასაწყისი

ერთ-ერთ ადრეულ ფოტოზე – 1860-იანი წწ. ჩანს კალოუბნის ეკლესია და მის წინ გოლოვინის პროსპექტზე ჰაუპტვახტის შენობა.




1860-იანი წწ.

1860-იანი წლების დასასრულის ფოტოზე გოლოვინის პროსპექტზე უკვე ჩანს ოტო სიმონსონის მიერ 1865-67 წლებში აგებულია მოზრდილი შენობა სადაც 1895 წლამდე, სასამართლო პალატა და საოლქო სასამართლო იყო მოთავსებული (ამ შენობაში სასტუმრო „ორიანტი“ გაიხსნა ა. ზალცმანის რეკონსტრუქციის შემდეგ 1895 წელს).




XX ს-ის დასაწყისის ფოტო.



1910-იანი წწ.


1910-იანი წლების ფოტოზე კალოუბნის ეკლესიის უკან ჩანს ქაშუეთის ახალი ეკლესია (არქიტ. ბილფელდი – 1910წ.).



აეროფოტო 1930-იანი წწ.

1930-იანი წლების აეროფოტოზე ჩანს დანგრეული კალოუბნის ტაძარის და ჰაუპტვახტის ადგილი. ამ დროისთვის ასევე დანგრეულია სამხედრო ტაძარი და მომზადებულია ტერიტორია მთავრობის სასახლის ასაშენებლად. 1939 წ. ყოფილი ჰაუპტვახტისა და კალოუბნის ეკლესიის ადგილას აშენდა კინოთეატრი „რუსთაველი“ (არქიტ. ნ. სევეროვი – 1939წ). ხოლო სამხედრო ტაძრის ნაცვლად – მთავრობის სასახლის ზედა (1938წ) და ქვედა (1953წ) კორპუსები (არქიტ. ვ. კოკორინი, გ. ლეჟავა, ვ. ნასარიძის მონაწილეობით).

საკვლევი ობიექტი




თავდაპირველი პროექტი



პროექტის ბოლო ვარიანტი

თავდაპირველად ნიკოლოზ სევეროვმა სხვა პროექტი დაამუშავა. საბოლოოდ კი ნაგებობა განსხვავებული პროექტით აშენდა. ნ. სევეროვის პროექტით არის აგებული, იქვე შოთა რუსაველის პროსპექტისკენ მიმართული საქართველოს ისტორიის ეროვნული მუზეუმის შენობაც და არქიტექტორმა კინოთეატრის შენობაშიც კლასიცისტური არქიტექტურის ელემენტები გამოიყენა.



I და II სართულის გეგმები

ნაგებობის გეგმა მართკუთხაა. მოცულობა სიგრძეზე ორ ძირითად ნაწილად არის გაყოფილი. პირველ ნაწილში წინ ვესტიბიული, ფლანგებზე კიბის უჯრედები და ზედა სართულებზე ატრიუმის ტიპის მოცულობაა, მეორე ნაწილში კი მთელ სიმაღლეზე მაყურებელთა დარბაზია ამფითეატრითა და იარუსებით. დარბაზის უკან წაგრძელებული კიბის უჯრედია ამფითეატრისა და იარუსების ყველა დონიდან გამოსასვლელებით. საინტერესოა, რომ შემსვლელი და გამომსვლელი მაყურებელი ერთმანეთს არ ხვდება. ამ უკანა წაგრძელებულ კიბის უჯრედის წინა ნაწილზეა გათვალისწინებული დაშენება.

შენობის ფასადები კლასიცისტური სტილისაა. მათი სტრუქტურა სიმეტრიულია. პირველ სართულზე მძლავრი ლავგარდანით გამოყოფილი რუსტირებული ცოკოლია. შოთა რუსთაველის პროსპექტის მხრიდან ფასადის შუაში, ქვედა ცენტრალური შესასვლელის თავზე პილასტრებით დაყოფილი სამ-სამ მართკუთხა ტრიპტიქულ სარკმელთა კომპოზიციაა სამ სართულზე, ხოლო ფლანგებზე ორ სართულად განაწილებული რეგისტრები. ქვედა რეგისტრში თხელ თაღოვან ნიშებში შემომდგარი ქანდაკებები, ზევით კი მაღალი წყვილი მართკუთხა სარკმლები სანდრიკებით. მსგავსი სტრუქტურის ფასადია ფურცელაძის ქუჩიდან, ოღონდ შუაში მხოლოდ ტრიპტიქულ სარკმელთა ცალფა შეუღლია. ფასადები დასრულებულია მძლავრი სოფიტებიანი პარაპეტით.



კინოთეატრი „რუსთაველი“ 1939წ.

შოთა რუსთაველის პროსპექტისკენ ვ. თოფურიძის ქანდაკებებია – კოლმეურნე, მუშა და სპორტსმენი ქალი და ვაჟი. ფურცელაძის ქუჩისკენ კი შ. მიქატაძის ქანდაკებაა – ალპინისტი.

1970-იან წლებში მოხდა კინოთეატრის რეკონსტრუქცია. 1990-იანი წლების ბოლოს მოხდა ინტერიერის სტილისტური რეკონსტრუქცია და ფოიემ და ზედა სართულების დარბაზებმა მრავალფუნქციური დატვირთვა შეიძინა (კაფე, მცირე მაღაზიები, საბავშვო გასართობი ტრენაჟორები და სხვ.).



ხედი რუსთაველის და ფურცელაძის ქუჩის კუთხიდან



ხედი ფურცელაძის ქუჩიდან





ხედი ფურცელაძის ქუჩიდან

დასკვნა და რეკომენდაციები

ამრიგად ჩვენ დავადგინეთ საპროექტო ობიექტის და მის ირგვლივ არსებული ნაგებობების განვითარება, მათი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება და ახლა უნადა განვსაზღვროთ თუ როგორი ცვლილების განხორციელების შესაძლებლობა არსებობს.

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/
ძეგლის სააღრიცხვო ბარათი № 010306368



1. სახელწოდება - კინოთეატრი "რუსთაველი"
2. ადგილმდებარეობა / მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი 5 / ფურცელაძე ანტონის ქუჩა 4
3. სახეობა - არქიტექტურის, მონუმენტური სახვითი
4. თარიღი - 1936 წელი

1930-იანი წლების ბოლოს აგებული კინოთეატრი „რუსთაველი“ კლასიცისტური არქიტექტურული ელემენტებით შემკული ნაგებობაა და ამ შენობის ზოგად არქიტექტურულ სახეში გათვალისწინებულია აქ ადრე არსებული არქიტექტურული ესთეტიკა (ეროვნული მუზეუმის შენობა, ძველი ჰაუპტვახტა, ყოფ. მეფისნაცვლის სასახლე, I კლასიკური გიმნაზია, ქაშუეთის ეკლესია). ამავე დროს აქ უკვე ჩანს ე.წ. „სტალინური არქიტექტურის“ ნიშნები. ამგვარად, ეს არის „ქვის“ არქიტექტურის შენობა, როგორი ესთეტიკაც ჭარბობს შოთა რუსთაველის პროსპექტის ამ ნაწილში.




რუსთაველის პროსპექტი, 1940-იანი წლები



კინოთეატრი „რუსთაველი“ 1967წ.

ცვლილება განსაზღვრულია ნაგებობის უკანა მხარეს. აქ უკანა ფასადის მთელ ფრონტზე წაგრძელებული კიბის უჯრედია მოწყობილი ამფითეატრიდან და იარუსებიდან გამოსასვლელებით. ოღონდ ჩრდილო ნაწილში კედელი ფასადის მთელ სიმაღლეზეა აღმართული, ხოლო სამხრეთ ნაწილში მხოლოდ ქვედა ორმესამედზე. ღია ადგილი ფუნქციურად თავიდანვე გამოუყენებელი იყო და ამიტომაც ეს მოცულობა გამოუყენებელი დარჩა და არ ამოუშენებიათ.





ხედი გუდიაშვილის ქუჩიდან

ხედი გუდიაშვილის ქუჩის გზაჯვარედინიდან

საპროექტო ადგილი კარგად განიხილება ფურცელაძის ქუჩიდან და გუდიაშვილის ქუჩის გზაჯვარედინიდან. ამიტომ ახალი მოცულობის დამატებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს და არ უნდა დაირღვეს უბნის ერთიანი მასშტაბი და მთავარია, რომ შენარჩუნებული იყოს სასიმაღლო დონების და ფორმების პროპორცია;

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ახალი მოციულობის დამატების შემთხვევაში არ დაზიანდეს არქიტექტურული ძეგლის სტრუქტურა და მხატვრული სახე, ამისთვის არც იგივე სტილისტიკის გამეორება არ იქნება სასურველი და არც ზედმეტად აქტიური ახალი ესთეტიკის შეტანა.

უპრიანია, რომ ახალმა მოცულობამ სტრუქტურულად ამოავსოს მხოლოდ ნაკლული სივრცე და არ გადმოვიდეს საფასადო სიბრტყიდან. მხატვრული თვალსაზრისით სასურველია ახალი მოცულობის საფასადო სახე იყოს ვიზუალურად ნაკლებად აქტიური და ნეიტრალური.

ამგვარად, აქ მნიშვნელოვანია, არა იმდენად ახალი მოცულობის მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულება, რამდენადაც ის, რომ ეს ცვლილება განხორციელდეს უმტკივნეულოდ, ამ ურბანული კვანძის ზოგადი მხატვრული სახის დაურღვევლად.

ამასთან მნიშვნელოვანია მშენებლობის მაღალი ხარისხი, რადგან საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ ბევრი ნაგებობა არქიტექტურული ძეგლია, ამიტომ სავარაუდო ახალმშენებლობაც ანალოგიური არქიტექტურული ხარისხის უნდა იყოს.

სასურველია განახლებული სახის ესკიზური პროექტის ფოტოილუსტრირება სახვადასხვა რაკურსით და გვერდით ნაგებობების ჩვენებით, როგორც ქუჩის ასევე ეზოს მხრიდან.

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

10.. 01. 2013წ.